# ლიტერატურული ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№5, 30 მაისი, სამშაბათი, 2017 წელი

## იასამნის სურნელით გაჟღენთილი ნოსტალგია

ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ექსკურსიამძღოლს, სამაჩაბლოდან დევნილ პოეტსა და მუსიკოსს – ბატონ **შოთა დარბუაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს და ვაგრძელებთ რუბრიკას – „ექსპონატები ლაპარაკობენ".

**– ბატონო შოთა, ალბათ, სიმბოლურიც არის, რომ თქვენი ამჟამინდელი საქმიანობა თქვენს დედულეთს – ქვიშხეთს უკავშირდება. შემოქმედი ადამიანისთვის, ალბათ განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავს დიდი მოღვაწის – დიმიტრი ყიფიანის კარ-მიდამოსთან შეხება.**

– დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი ჩემთვის სულიერების სავანეა, რომელიც გაფიქრებს, წარსულსა და მომავალში ერთდროულად გახედებს. ჩემთვის მუზეუმი ტაძარია, სადაც სულიერი და მატერიალური კოდი ასვენია, რომელსაც შეგიძლია, ფიზიკურად შეეხო და შეიგრძნო დიდი წარსული, საიდან მოვდივართ და ვინ ვართ. ეს არის ნივთიერი ხსოვნა, დროთა შორის კავშირის ადგილი, რომელიც ინახავს დროს...

**– რომელი წლიდან მუშაობთ მუზეუმში და რით არის საინტერესო ის მოვალეობა, რომელიც გაკისრიათ?**

– ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრების გზამ მიმიყვანა იმ ტაძარში, სადაც 2010 წლიდან ვმუშაობ ექსკურსიამძღოლად. ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, როცა გაქვს მოვალეობა და შესაძლებლობა, ესაუბრო ადამიანებს, განსაკუთრებით – ახალგაზრდებს, ამ დიდი მამულიშვილის დიდი ეპოქის შესახებ.

მახსენდება ბელორუსიიდან და რუსეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან შეხვედრა. მათთან საუბრისას, როგორც იტყვიან, ბეწვის ხიდზე გავდიოდი, რადგან რთული იყო დიმიტრი ყიფიანისა და მისი ეპოქის სიმართლის გადმოცემა ისე, რომ სტუმრების გაღიზიანება არ მოჰყოლოდა ამ სიმართლეს. არადა, ვიცით, რომ მე-19 საუკუნე ძალზე საინტერესო საუკუნეა, რომელიც თავისი ყველა პარამეტრით ეხმიანება დღევანდელობას. ასე რომ, მუზეუმში დიპლომატის მისიაც მევალება, ექსკურსიამძღოლობის გარდა.

დიმიტრი ყიფიანი დიდი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მოახმაროს ადამიანმა მთელი თავისი ცოდნა, ენერგია სამშობლოს და, თუ საჭირო გახდება, თავიც გასწიროს მისთვის.

**– ბატონო შოთა, თქვენი ფესვები სამაჩაბლოში, ცხინვალში არის გადგმული, რომელსაც არც დევნილობის შემდეგ მოწყვეტილხართ... ცხინვალში დაირწა თქვენი – როგორც შემოქმედის აკვანი. ბავშვობა გავიხსენოთ.**

– ცხინვალში დავიბადე, რომელიც ერთი დიდი ოჯახი იყო, ყველა ერთმანეთს იცნობდა. ლეგენდარული მშობლები მყავდა, ისინი არასოდეს ჩამოსულან ცხოვრების ავანსცენიდან, ღრმა კვალი დაამჩნიეს ცხინვალ-ქალაქს.

მამა – ვანო დარბუაშვილი, ცხინვალის ქართული თეატრის ერთ-ერთი მესაძირკვლე, ათეული წლები თავისი შემოქმედებით აღაფრთოვანებდა მაყურებელს.

თან მდევს ჩემი სათნო დედის სახეც. ევგენია სილაძე ქვიშხეთიდან იყო. მიზეზთა გამო, მას თავისი პროფესიით არ უმუშავია, დიზაინერის თანდაყოლილი ნიჭის წყალობით, მშვენიერ მოდელებს ქმნიდა ნახევარი საუკუნის მანძილზე. დედაჩემის შეკერილი კაბებით თავმომწონეობდნენ ცხინვალელი ქალბატონები.

უდარდელი, უზრუნველი ბავშვობა მქონდა ისევე, როგორც ჩემი თაობის იმ ეპოქის ბავშვებს. თუმცა, სევდიანი, ფიქრიანი ვიყავი, რატომღაც... განმარტოება მიყვარდა. სულ პატარას, მახსოვს, ცხინვალის ცის სიწმინდით მონათლული, როგორ გავირინდებოდი თოვლის თეთრ ზღვაში...

ადრეულ ასაკში დავიწერე პირველი ლექსი, თუმცა, ამის შესახებ არავინ იცოდა, – არც იმან, ვისაც ეძღვნებოდა ის ფაქიზი სტრიქონები. სტუდენტობის დროს, დიდი პოეტის – მურმან ლებანიძის ჩემი მისამართით ნათქვამმა შექებამ სტიმული მომცა... და ვნერ მას შემდეგ... ვარ ოთხი წიგნის ავტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

როგორც ჟურნალისტი, აქტიურად ვთანამშრომლობდი ჩვენს რეგიონში გამომავალ ქართულენოვან გაზეთებში. ვიყავი გაზეთ – „შიდა ქართლი"-ს სპეციალური კორესპონდენტი ცხინვალისა და თბილისის ზონებში, ასევე, – „ლიტერატურული ცხინვალი"-ს სარედაქციო საბჭოს წევრი. ვარ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

**– პირველი პოპულარობა მაინც ანსამბლ – „ბონვარონ"-მა მოგიტანათ, რომელიც, იმდროისათვის, ცხინვალსა და მთელს საქართველოში ქუხდა. როგორ შეიქმნა ანსამბლი?**

– ცამეტი წლიდან მუსიკა შემოვიდა ჩემში. ვუკრავდი სხვადასხვა ინსტრუმენტზე. ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი მოგონება „ბონვარონ"-ს უკავშირდება.

70-იანი წლების დასაწყისში, როცა მთელი მსოფლიო „ბითლზებს", „ლედ ზეპელინს" და „ზი ფაიფელს" ბაძავდა, მეგობრებმა მუსიკალური ჯგუფის შექმნა გადავწყვიტეთ. ოთხნი ვიყავით, ბავშვობის მეგობრები. ორწლიანმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო და 1971 წლის 17 სექტემბერს, ცხინვალის საკონცერტო დარბაზი მაყურებლით გადაიჭედა. ყველამ ვერც შეძლო დარბაზში შემოსვლა... ასე დაიბადა ანსამბლი „ბონვარონი" (ცისკრის ვარსკვლავი).

მეორე დღეს მთელი ქალაქი ჩვენზე ლაპარაკობდა. დიდი წარმატება ხვდა „ბონვარონს" ყველგან – შინ თუ გარეთ. 1974 წელს ანსამბლს მიენიჭა სახელმწიფო სტატუსი. სულ სამი შემთხვევა იყო იმ დროს ასეთი: „რერო", „პესნიარები" და „ბონვარონი". 1988-90 წლებში ვიყავი ამ ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ჩემი პორტრეტი სრულყოფილი ვერ იქნება ვაჟთა ვოკალური ანსამბლ – „ლიახვი"-ს გარეშე, რომელიც ჩემი დღევანდელი მოღვაწეობის, როგორც მომღერლის, ქართული სულიერებით სავსე ადგილია. ეს არაჩვეულებრივი კოლექტივი მაესტრო – დავით ელბაქიძემ ჩამოაყალიბა 1979 წელს, ცხინვალში, რომელიც იმ წლებში, ქართული სულიერების პატარა ტაძარი იყო, სადაც ქართულ-ოსური სიმღერები ქართველთა და ოსთა მეგობრობის საგალობლად გაისმოდა. დღემდე, „ლიახვი"-ს სოლისტი ვარ.

ჩემი მუსიკალური მოღვაწეობის დროს, არაერთი რესპუბლიკური, თუ მსოფლიო ფესტივალის გამარჯვებული და ლაურეატი ვიყავი.

**– ბატონო შოთა, ძნელია ამ გადასახედიდან რეალობასთან თვალის გასწორება, იმ სიცარიელის ამოვსება, რაც დევნილობის წლებმა დატოვა, იმის მიუხედავად, რომ დედულეთმა და ქვიშხეთის ყიფიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა გულის კარი გაგიღეს.**

– ცხინვალელებს რომ ცხინვალი გვენატრება, ამაში არაფერია უცნაური. იქ მცხოვრები ქართველობა ყოველივე ქართულს განსაკუთრებულად უფრთხილდებოდა, ეფერებოდა. იმ ბიჭის ნოსტალგიით ვცხოვრობ, იასამნის სურნელით გაჟღენთილ ცხინვალ-ქალაქში რომ დადიოდა, უკვე პოპულარული და მის გარშემო სიყვარული, სილამაზე ტრიალებდა თეატრის სცენასავით, სადაც მთავარი გმირებიც და რეჟისორიც ჩვენ ვიყავით – პატარა ქალაქის დიდი მოქალაქენი.

დიახ, სცენა იყო ჩემი ცხინვალი, დედაჩემის კოხტა კაბებში გამოწკეპილი ქალბატონებით...

ცხინვალში შერწყმული იყო ქართული-ოსური, კეთილშობილური ტრადიციები, რითაც ვამაყობდით, და რაც, ჩვენი მამების – იმ თაობის დამსახურებაა, რომლებმაც განუმეორებელი კვალი დაამჩნიეს ქალაქს. ის ცხინვალი, ასე რომ გვიყვარს და გვენატრება, მათი საუკეთესო ნაწარმოებია, მათივე ნიჭით ნაშენ-ნაწერი...

ასე იყო მანამ, სანამ მისი უმდაბლესობა – პოლიტიკა არ ჩაერია, თავისი „იზმებითა" და „ისტებით", რასაც შეეწირა ჩვენი ქალაქი, ქვეყანა და ის ურთიერთობები, რაც ერთი ხელის მოსმით დაგვინგრიეს...

იძულებით დავტოვე ჩემი ბავშვობის ქალაქი...

ომის თემაზე მიჭირს საუბარი. დრო განსჯის ტყუილ-მართალს. ჩვენმა თაობამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ჩვენ შვილებს, შვილიშვილებს დავუტოვოთ ერთმანეთთან მისასვლელი გზა.

**– რაში ხედავთ გამოსავალს, ან თუ ხედავთ საერთოდ?**

– ოსურ-ქართული ურთიერთობების მოგვარებას მხოლოდ ნამდვილი და მართალი ხალხი თუ შესძლებს. რაც მეტად გადმოსწევენ მავთულხლართებს, მით მეტი სიფხიზლე და სიბრძნე გვმართებს, – დიდი მოთმინება და დიალოგი. სხვა ისტორიულ რეალობას უნდა დაველოდოთ, გეოპოლიტიკურ ცვლილებებს. ახალმა თაობამ უნდა იტვირთოს პოლიტიკურ დონეზე ქვეყნისათვის სასიცოცხლო პრობლემის მოგვარება.

მანამდე კი, არავის არ უნდა მივცეთ უფლება, რომ კიდევ ესროლონ ერთმანეთს ქართველებმა და ოსებმა.

ესაუბრა **ეკა ზაქრაძე**

# პოეზია



შოთა დარბუაშვილი

## დროის აგონია

დრომ, თავისთავად
თავი მოიკლა...
ცაში ავცურდით
თითქოს, ორივე...
და გამოქცეულს
გავდა შორიდან
ქარი, რომელიც
ვერ დავიმონე...
ვიდექი მარტო,
ვჩანდი, — არ ვჩანდი,
დროის გაქრობას
გული ტიროდა,
ეს, მერამდენედ,
ირონიული,
მთვარე ჩურჩულით
ამოდიოდა...
იდგა ფიქრების
კორიანტელი...
და ცისარტყელა
დროის პროფილით,
ისე ეკიდა
ნაცრისფერ ცაზე,
ვით არსებობა
უარყოფილი.

## დ ე დ ა

ზაფხულის თბილი, უქარო დღე და...
ახლა, ლექსია ჩემი მშველელი,
რითმებს გავანდობ ჩემს სათქმელს, დედა,
სიტყვებით მაინც შეგეშველები.
ამ განშორებას ტკივილი ახლავს,
ასეთი ხვედრი, ვიცი, მძიმეა,
ცხინვალის ქუჩებს — სევდიანს ახლაც,
დედის კურცხალი ცრემლები მიაქვთ...
მე მენატრება შენი სიწმინდე...
მაგრამ ვერაფრით ვერ გეშველები,
არ მინდა, ისევ რომ შემიშინდე...
ასე დარდობენ დედებს შვილები...
გადაიზამთრა მარტოობაში,
უქარო, წყნარი, ზაფხულის თვეა,
— როდის გიხილავს ჩემი თვალები? —
მწერდი სუსხიან იანვრის დილას.
სულს მილბობს შენი უწრფესი ცრემლი,
მაისიც მოვა, ყელმოღერებით,
მე დავბრუნდები და თბილი ხელით,
როგორც არასდროს, მოგეფერები.

* * *

დრო, უდროობით
ხან დემონია,
ვინ პლატონია?
ვინ ნობელია?
აქ, ძალაშია
სხვა თეორია:
ჩვენში, ქელეხი
პ ა ნ თ ე ო ნ ი ა...
მე ახლა მფარავს
ცაცხვების ჩრდილი
და დგას სამყარო
სახეცვლილებით,
შენ მეკითხები:
„ვინ რომელია?" —
აქაც და იქაც,
გარდაცვლილები...
ნიავის ცერზე
ქანაობს ქარი
და ვეღარ ვამჩნევ
სხვის კარზე მდგარი,
რომ ამ ცხოვრებამ
ისე დამღალა,
როგორც დაღალა
ერთი და ორი...
მდინარე მიდის
და ტალღის შხუილს
ყურს უგდებს ღამე —
ბედი მდევარი,
გუბეში გდია
ნასვამი მთვარე —
ცას მონყვეტილი
ურჩი მძევალი...

## თეთრი იასამანი

გახსოვს ჩვენი ქალაქი, —
ჩვენი ეზოს სამანი?
და სურნელი ქუჩებში,
თეთრი იასამანის.
მზის და მთვარის ქორწილი,
ცა, ნექტარი ფერებით,
მერე, დროის ცვლილებით,
დილა — გარდაცვალებით...
იმ ცხოვრების ავ-კარგით
ავაშენე შენობა...
დედაჩემის ნაქარგი
კაბა, როგორ გშვენოდა...
ქარი, ფოთლებს, სარკმელთან
ნებით ამიფრიალებს,
გულის ნადილს გაგიმხელ,
მონატრება იალებს...
და იქ, გულის სიღრმეში,
სადაც მარტო სულია,
უშენოდ, ხომ, პოეტი,
დიახ, მარტოსულია...
მახსოვს წრფელი წუთები,
ის დღეები მღელვარე,
ო, რა გოგო იყავი,
ნაზი, თანაც ელვარე...
დღეს კი, არაფერია
იმ ყველაფრის პასუხი...
მენატრება ცხინვალი —
ჩემი სინდის-ნამუსი...

* * *

მგონი, სევდამაც დამღალა
და თვით ლექსებმაც, მგონი,..
საკუთარ გრძნობებს ამაღამ,
გამოვუცხადე ომი...
ვინ მეტყვის: — დაგიბრუნდები,
ჩემო ქალაქო, წყნარო,..
ისეთი დადგა დარები,
უხასიათოდ ვარო...
დარდს ჩემით გადავიდარდებ,
როგორც ბილიკებს, სავალს,
იმ ჩემს კოპწია ცხინვალში
აუცილებლად წავალ...

* * *

მოიღრუბლება ცა სევდისფერად,
გადაიქროლებს ქარით ღრუბელი,
ჩემო სიზმრებო, რა გეშველებათ?! —
დროა სასტიკი და ულმობელი.
შენ გჭირდებოდა ქართული გული
და მოფერება, თუნდ, ძალიზე ცოტა,
ირგვლივ კი დროა, დრო — რთულზე
რთული,
კლდე კლდეს ასკდება ბედის სასწორთან...
და მედარდება შენი ქუჩები,
ვარდის უბანი, ნაპირთან ნავი...
და ბიძაჩემის ხიდიდან, წყალში
გადახტომა და დაკარგვა თავის...
ლიახვმა ცრემლიც თან გაიყოლა,
მე კი მთვრალი ვარ და ვარ ყარიბი,
აღარაფერი შემომრჩენია,
ლტოლვილი მქვია, მტრისთვის — არიფი...

## მეგობრებს

ჩემი სამყარო ნამომცდება
მე, ხშირად, სხვებში...
და იკარგება ეს ხატება
ნამთვრალევ ხმებში...
მერე ჰკვირობენ:
რად ფიქრობსო
იგი, სხვაგავარად,
ესეც ხომ, ჩვენი სწორია და
განზე გამდგარა...
— რა გიპასუხოთ...
თუ სანუთრომ ხელი დამრია
და ჩემი ყოფნა მასში, იქნებ,
მართლაც, მცდარია...

* * *

ფოთლები უკვე გაუშლია
გაზაფხულს, აპრილს...
და მეც ფიქრები ამეშალა,
როგორაც უთქვამთ,
თვალდახუჭულმა ჩავიარე
ძველი ქუჩები
და მეშინოდა... მაშინებდა
ხმამაღლა სუნთქვა.
გამოიდარებს, მზე ამოვა,
ვდგავარ და ილბალს
ჩუმ სამადლობელს,
ქაშუეთის ეზოსთან ვწირავ,
ამშვენებს ქალაქს
ქუჩები და სველი პეშვები
და მიხარია, მიხარია
თბილისის წვიმა.

# პოეზია



მანანა ღანგაძე

## რაა სიყვარული...

„რაა სიყვარული?" — მკითხეს მეგობრებმა,
თითქოს გულისგულში მიყრიან სადგისს,
— კაცი რომ დაეძებს დაკარგულ ნეკნს და,
ქალი რომ დაეძებს ამ ნეკნის ადგილს. —
ასე ვუპასუხე, ვითომდა იოლად,
ვდგავარ ეული და ერთ ადგილს ვტკეპნი,
ვითომდა, მე მეძებნოს ნანატრი შიოლა,
ანდა, „მას" ეპოვოს თავისი ნეკნი.

## ოლონდაც, საქართველო დამიტოვე!

არ მინდა „ბრენდი", „ვისკი", „ჯინ-ტონიკი",
ვერც „რომი" და „ტეკილა" გავიტოლე,
ვენახი, — „მანავით" და „ოჯალეშით",
უფალო, გევედრები, დამიტოვე!
არ მინდა „ფურშეტი" და „პიკნიკ-ფართი",
ვერც „შოუ", „შოუმენი" გავიტოლე,
თამადა — მჭერმეტყველი, ქრისტეს სისხლით,
უფალო, არ მომაკლო — დამიტოვე!
არ მინდა ჯიშად გადაგვარებული,
სხვის ბაგას შეფარებულს ვერ ვიტომებ!..
უფალო, დამილოცე „ბიბლია" და
მაცხოვრის სახარება დამიტოვე!
არ მინდა ურჯულოთა კანონები,
იუდა ქრისტეს მოსვლით გამიოცე,
მამაო, გამიხარე სიცოცხლის ხე,
ლაზარეს ამაღლება დამილოცე!..
მავანი ეკლესიას მედავება,
მავანი მიწის გოჯსაც არ მიტოვებს...
უფალო, ყველა ცოდვას ვაღიარებ,
ოლონდაც, საქართველო დამიტოვე!

## ძველი თბილისის გახსენება

დაწანწლაობს
მტკვრის ნაპირთან თბილისი
და გვირისტი გაატარა ღამემ,
რა საარი შემოისმა, დილის ხმის, —
„ტურფავ, ტურფავ,"
მიმღერეო რამე.
სატივეზე მოხსნეს ტივებს საბელი
და არღანმა გაასურა მხარე.
შეუკაზმავთ ფაეტონში ცხენები,
გლეხი ყიდის
მის მარჩენალ ხარებს.
დუღს თბილისი
ციებით და ცხელებით,
კინტოები თავს უკრავენ ქალებს.
ყვავილების მიწას ყიდის ვილაცა,
იეთიმ-გურჯი
ჩამორითმავს ჰნკარებს,
აქ სიმღერა დაუწყია თიხასაც,
მეთარენი აკვნესებენ თარებს...
ისმის ზარი,
ზარი — ცისკრის ლოცვებად,
გალობის ხმა ეკლესიას ავსებს,
მაცხოვარი ისევ დაილოცება
და მირონი ჩაეღვრება თასებს...
გულს მაწვება
დარდებად და იარად,
ისევ ისე, იმ ძველ თბილისს
ვნატრობ,
როცა მთლიან საქართველოს კი არა, —
ყვავილების მიწას ჰყიდდნენ
მარტო!

## მაცხოვრის მონოლოგი

თენდება, მესამედ იყივლებს მამალი,
დამთავრდა, არსაით არ ველი შენდობას,
მე თქვენთვის მინდოდა საზრდო და წამალი,
ცუდია, როცა კაცს კაცი არ გენდობა.
მე ვიცი, სად მიდის ეს ჩემი ალმართი,
ცრემლები არ გინდა, დედაო მარიამ,
ზურგზე რომ მკიდია, — ეს ტვირთი არ არის,
ეს, ჩემი საზიდი მაცხოვრის ჯვარია.
გათენდა... მესამედ იყივლებს მამალი,
იუდა თვალებით ერთ წერტილს მიესო,
მთვარემაც მოასწრო ღრუბლებში ჩამალვა,
ზეციდან მომესმა მამის ხმა: „იესო..."
სული, ხორცს გაყრილი, ზეცისკენ აიჭრა,
სხეული მიწაზე დატოვა ხუნდებით,
ოღონდ თქვენ მინატრეთ, ოღონდ თქვენ მინატრეთ,
ოღონდ თქვენ მინატრეთ! —
მე დაგიბრუნდებით...

## ვერ ვიხსენებ

ზამთრის ლოლო-ყინულები
ცრემლებივით დნებიან
და ამაო გაზაფხული
თვალში მომჩერებია.
აფეთქებულ ხის ტოტებზე
ქლურტულებენ ჩიტები,
შეიფოთლონენ ხეები და
აელვარდნენ ტიტები.
სისხლმა ჩქროლვას მოუმატა,
ვერ ვიხსენებ, — მიყვარდა?
თუ მიყვარდა, რად არ მახსოვს,
ან რად გადამიყვარდა?!
რად არ მახსოვს მოფერება,
ტკბილზე ტკბილი ამბორი?
არ ვენდობი ყურმოკრულს და
არ ვენდობი გაგონილს.
არც ის მახსოვს, ოცნებების
წიგნს თუ ვაფრიალებდი,
ღმერთო, ბოლო გამახსენე —
იმ ერთ ჭიქას დავლევდი.
ჰოი, როგორ გახარჯულა
გრძნობით სავსე სკივრები,
აღარ მახსოვს, დავაპურე
გულიანად, მშივრები?!
დავრჩი ასე გაძარცვული,
დრომ ტლინკები მიყარა,
ვერ ვიხსენებ, უარვყავი,
თუ მან გადამიყვარა?!

## მივდივარ...

ნუ გიკვირს ჩემი მეტამორფოზა,
არაფერია აქ საკვირველი,
ყველა ჩაგრული ქალის სანაცვლოდ,
დღეს, მე მივდივარ შენგან პირველი.
ტყუილად ეძებ სასროლად ტალახს,
ჩემკენ სიმშვიდე, თუმცა, ბინდია
და ნურც მიგზავნი ვარდებით კალათს,
მდედრნი სიყვარულს არა ჰყიდიან.
ნუ შემომყურებ საცრის თვალებით
და ჩემს ქცევაში ნუ ეძებ ღალატს,
მე მივდივარ და, თან გავიყოლებ
კარგად მორგებულ ერთგულის ხალათს.
ჰო, მივდივარ და, ჩვენს შორის, უკვე
დღეს, ჩამტვრეული დიდი ხიდია
და რომ ქალები კარგებისაგან,
კარგებისაგან არსად მიდიან.

# რეცენზია

## ხიბლი ჭეშმარიტი პოეზიისა

1899 წლის 25 აპრილს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე ილია ჭავჭავაძემ ბრძანა:

„ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდამ სისხლის შეწყვეტილი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო". შემდეგ დაუმატა: „იგი (პოეზია) მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტლივ დენა კაცთა სიცოცხლეს შეუცვნოს".

ამ დიდებული სიტყვების ჭეშმარიტებაში, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც ქვიშხეთელი პოეტის – ალეკო ღონღაძის ლექსების წიგნი – „მოხუცებული ბიჭი" წავიკითხე. (წიგნი გამოიცა ჩვენი უმშვენიერესი პოეტი ქალბატონის – ეკა ზაქრაძისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მონდომებით)

იმ დროს, როდესაც ჩვენში ისტორიის სასტიკი ქარიშხლით გათელილი პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ ინტელექტუალური ცხოვრება, ჯერ კიდევ, თვლემს და წელში ვერ გამართულა, თითქოს პარადოქსული მოვლენას წარმოადგენს ალეკო ღონღაძის პოეზია.

ა. ღონღაძეს, ლექსის უზადო, აბსოლუტური შეგრძნება აქვს, რომელიც, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, პოეტურ შემოქმედებას, ზოგჯერ საფრთხედ ექცევა. მით უფრო, ისეთ კაცს, როგორიც ა. ღონღაძეა, რომელმაც ზედმიწევნით ღრმად იცის გენიოსთა კალმის ნაღვაწი. ასეთებს, ალბათ, სხვებზე უფრო მეტად უჭირთ საკუთარის გამოჩენა. ან, რაც, კიდევ უფრო ტრაგიკულია, თავისას ველარ ქმნიან, – ერიდებათ შოთასი, ვაჟასი, ილიასი, აკაკის და გალაკტიონის. მაგრამ ალეკომ გაბედა და 80 გვერდიან წიგნში გადმოაფრქვია პოეზიის მშვენიერი ნიმუშები: მძაფრი, მღელვარე და ღრმა შინაგანი წინააღმდეგობით სავსე.

ლექსი ის არის, სადაც იდეალურად შედგენილი ბგერათა რიგია, რომელიც განსაკუთრებული სახით მოქმედებს მკითხველის ფსიქო–ემოციურ მდგომარეობაზე. შეიძლება, ამ ჩემს განსაზღვრებას ზოგი არ დაეთანხმოს, მაგრამ თუ ლექსი არ შემოიჭრება ჩემს ყოველდღიურ რუტინაში და არ აათრთოლებს თვალით უხილავ სიმებს, ვფიქრობ, ის პოეზია არ არის, ან ჩემთვის არ არის დაწერილი. ა. ღონღაძის პოეზიამ ეს შესძლო.

არსებობს ატომური იარაღის მსგავსი ლექსები, უზარმაზარ მასაზე რომ ვრცელდება. ისინი მზის სხივებივით მძლავრად მოქმედებენ ჩვენზე. ალეკოს ლექსების ერთხელ წაკითხვისთანავეც იგრძნობა, როგორ ინვის იგი პოეზიაში.

„რაც არ ინვის, არ ანათებს, უჩინარად ლპება ნელა." (აკაკი)

რას არ მოისმენთ ალეკოს ლექსში: ქართული ბგერის დიდებულ კეთილხმოვანებას, სიტყვის მოქნილობას, რიტმისა და ასონანსების საოცარ უნარს, იშვიათი უშუალობითა და სილამაზით ამეტყველებული ადამიანის ყველაზე ფაქიზ განცდებს, რითმის ბუნებას, ლექსიკას, ფრაზის წყობას, – მოხდენილი მეტაფორებით, შედარებებითა და ეპითეტებით სავსეს:

„აზღავლდებიან ხსოვნის ფურები,
ცრემლების თქეში ისევ იავდრებს,
ბერნი ოცნების საყვედურებით,
ქარი დაკეცავს სულში იალქნებს" (უსათაურო)

ან ეს:

„დაღლილ ქარავანს არ უჩანს ბოლო,
სინგურის ბალში ხრჩოლავს თრიაქი,
გადაეგრიხა აქლემებს კუზი
დაუსაბამო გზის ფორიაქით"... (ქარავანი უდაბნოში)

ასეა მის ყველა ლექსში.

ა. ღონღაძის უმშვენიერესი პოეზია, სამწუხაროდ, დიდ სევდას, სიმარტოვის, „სულით ობლობის", ტანჯვის მოტივს ასახავს. ამ გულგატეხილობას, უიმედობას „ცოდვიანი მიწით მოგვრილ მწუხარე ცრემლს" (ე. ზაქრაძე) დღევანდელი სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობა, გასულის 90–იანი წლების სიდუხჭირე და ტერიტორიების დაკარგვა უდევს საფუძვლად, რაც მკაფიოდ ჩანს შემდეგ ლექსებში: „ნეტავ, ამას თუ სიცოცხლე ჰქვია", „ჟამი", „სამდურავს ვამბობ" და დიდებულ მონოლოგში – „მე შემოდგომის ღამეებმა".

„მრუმე სამყარო კვნესის, როგორც მრუში მეძავი!
უზნეობაა? თქვენ ზნეობა ვინ დაგიწესათ!?
ანდა, ფარულად, ვინ არა ქნა სიბილწე ავი?!
ნუთუ, ახლა გსურთ, რომ წმინდანად მომაჩვენოთ ცოდვილი თავი".

შეადარეთ ეს სტრიქონები შექსპირის ცნობილ 66–ე სონეტს: „რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება, რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება..."

თუმცა, ალეკოს პესიმიზმი, ხშირად ოპტიმიზმშიც გადადის და მომავალს იმედით შეჰყურებს. თუ ერთ უსათაურო ლექსში იგი ამბობს:

„ვით გიშველო, რით გიშველო,
ავი წყლულით სურვებიანს!..
იქნებ, ამ შენს დაცემაში
ჩემი ხელიც ურევია". – სხვაგან იმედიც ჩანს: „მამული", პოემასავით რომ ჟღერს, „კახეთი" – მიწიერი სამოთხე, „იმედიანი ხევსური" და „დუმს სატევარი".

ზნეობრივი გადაგვარების, ტრადიციის დამახინჯების გამომხატველია მისი ეს ლექსი:

„ჭრა აქვს ღვინოს და...
სუფრა უკვე მოლხენას ბაძავს,
გამოხრულ ძვლებთან
ავად ღრენენ ზორბა ძაღლები.
მხოლოდ, ძველ ოდას
ძველებურად აცვია ძაძა,
– რა კაცი იყო?! –
ქანაობენ მთვრალი მძახლები".

ამ ამბის მომსწრე, ფაქიზი გრძნობის პოეტს, რა გასაკვირია, რომ საკუთარი თავი ებრალება.

არანაკლებ საინტერესოა ალეკოს სატრფიალო ლირიკაც:

„,... თვალები ნუკრის ჰქონდა,
ტუჩები გაბუტვოდა, –
მტკვრის ჩქერის ციმორზე ლამაზი...
... შევხედე – შევიშალე,
შემხედა – დამაბნელა...
უთრთოდა გულ–მკერდი კოკობის,
ვეფხის ჯიშის იყო,
ქალი კი არა და...
ჯალას აფრენილი ხოხობი".

(ვისაც ციმორის „ტუჩები" არ უნახავს, ამ ლექსს ბოლომდე ვერ ჩასწვდება.)

ერთგან ალ. ღონღაძე აცხადებს, რომ არ უყვარს ხოტბა, პომპეზურობა, „განდიდების ორომტრიალი", „ვაშა–ვაშას" სურვილი და „ყელყელაობა". უყვარს სიჩუმე, თავმდაბლობა, საქმის უხმაუროდ კეთება...

ფიროსმანიც ხომ ასეთი იყო და ალბათ, ამიტომ მიუძღვნა ეს სტრიქონები:

„ჩამოყრილი მხრები,
ულვაშები ფოცხის,
ნაღვლიანი მზერა
გაცვეთილი ხორცი.
... ვახშმად – ხმელი პური,
დილას – ღვინო–წყალი,
საფლავდაკარგული
ნიკო ფიროსმანი." (ფიროსმანი)

არ შეიძლება, არ აღვნიშნო ალეკოს უსაყვარლესი პოეტის – გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსი–ღაღადისი. იგი ვერ შეგუებია ცივ სამარეში დიდი პოეტის ყოფნას:

„ ... ყინავდა ამორძალთა კაბარეში,
გუმბათებს შელეწვია წლები,
– ხომ არ შეგაჟრჟოლათ სამარეში?
ადექით, თქვენს მაგივრად ვწვები!.."

კიდევ ერთი შტრიხი: ალ. ღონღაძე ძველი დროის რაფსოდიებს, ტრუბადურებსა და ბოჰემას ჰგავს (აკი, თვითონვე უწოდებს ბოჰემას საკუთარ თავს), მისი პოეტური ნიჭის შეფასება, მარტოდენ მისი ლექსებით, საკმარისი არ არის. იგი იმპროვიზაციის შესანიშნავი ოსტატი გახლავთ, რომელსაც კარგად შეუძლია აუდიტორიის მოხიბვლა ლექსების კითხვით, შინაარსით, საუბრითა და გონებამახვილობით.

ვისაც გსურთ, ალეკო ღონღაძის „ქვიშხეთიდან დანახული პოეტური სურნელებით გაჟღენთილი სამყაროს" ხიბლი (ე. ზაქრაძე) შეიგრძნოთ, წაიკითხეთ ალ. ღონღაძის ლექსების კრებული – „მოხუცებული ბიჭი".

კლიმენტი ხუთაიშვილი

რედაქტორი ეკა ზაქრაძე